



USAID
ამერიკელი ხალხისგან



მოქალაქის გზამკვლევი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
2022 წლის ბიუჯეტი და 2022-2025 წლების
პრიორიტეტების დოკუმენტი

აღნიშნული გზამკვლევი მომზადდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტ დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის მთავრობის, USAID-ის ან USAID GGI-ის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი 2

ტერმინთა განმარტება..... 3

საბიუჯეტო პროცესი 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2022 წლისთვის... 29

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო კალენდარი	6
თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური დოკუმენტები	8
მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტებია:	
◆ მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა	9
◆ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები	9
პრიორიტეტი - ინფრასტრუქტურის განვითარება 02 00	11
პრიორიტეტი - დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00	15
პრიორიტეტი - განათლება 04 00	16
პრიორიტეტი - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 05 00	18
პრიორიტეტი - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 06 00	21
პრიორიტეტი - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა 07 00	23
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება 01 00	24
◆ ბიუჯეტის სტრუქტურა	25

◆ შემოსულობები	29
◆ შემოსავლები	31
◆ გადასახადები	32
◆ გრანტები	33
◆ სხვა შემოსავლები	34
◆ მუნიციპალიტეტის გადასახდელები	35
◆ ხარჯები	37
◆ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა (ფუნქციონალური კლასიფიკაცია)	38
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების შესახებ	39

შესავალი

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი და ბიუჯეტი უნდა იქმნებოდეს მოქალაქეთა უშუალო მონაწილეობითა და აქტიური ჩართულობით. ხელისუფლებისა და მოქალაქეების თანამშრომლობა ხელს უწყობს გადამწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას და საჯარო მმართველობის გაუმჯობესებას.

იმისათვის, რომ მოქალაქემ შეძლოს საბიუჯეტო პროცესებში ჩართვა, პირველ რიგში, უნდა იცოდეს, როდის იწყება ბიუჯეტზე მუშაობა და თავად რა ფორმით შეუძლია ჩაერთოს ამ პროცესში.

!!! თქვენ უფლება გაქვთ:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

პრიორიტეტების დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების ეტაპზე 1 მარტიდან - 15 ნოემბრამდე

ჩაერთოთ საჭიროებათა გამოვლენაში; მონაწილეობა მიიღოთ პრიორიტეტების შერჩევის მიზნით ჩატარებულ გამოკითხვებში; დაესწროთ საჯარო შეხვედრებს; მოამზადოთ და საკრებულოში წარადგინოთ პეტიცია წერილობითი ან ზეპირი ინიციატივით მიმართოთ ადგილობრივ ხელისუფლებას და მოითხოვოთ ბიუჯეტში თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინება;

2

ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში

გაეცნოთ მერიის მიერ საკრებულოში წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს; მონაწილეობა მიიღოთ ბიუჯეტის საჯარო განხილვებში და შეკითხვით მიმართოთ თვითმმართველობის თანამდებობის პირებს; დაესწროთ ბიუჯეტის განხილვის საკრებულოსა და საკრებულოს კომისიებში;

ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგების ეტაპზე

მონიტორინგი გაუწიოთ ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვას და გამოითხოვოთ საჭირო დოკუმენტები მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურებიდან; გაეცნოთ ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს; დაესწროთ მერისა და საკრებულოს დეპუტატების მიერ ანგარიშის ჩაბარებას.


წინამდებარე გზამკვლევაში მოცემულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები და 2022-2025 წლების პრიორიტეტები და დაგეგმილი პროგრამები.

საბიუჯეტო პროცესი


- ◆ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი;
- ◆ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი დამოუკიდებელია როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისგან, ისე სახელმწიფო ბიუჯეტისგან და ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტებისგან;
- ◆ მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი შემოსულობები (სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ფინანსური სახსრები);
- ◆ თვითმმართველი ერთეულის ხელისუფლება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებით დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას საკუთარი ფინანსების ხარჯვაზე;
- ◆ საქართველოს ცენტრალურ და ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებებს უფლება არა აქვთ, ჩაერიონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში.

მუნიციპალიტეტში მომდევნო წლის ბიუჯეტზე მუშაობა 10 თვით ადრე იწყება. მაგალითად, მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მომზადებაზე მერიამ მუშაობა 2021 წლის 1 მარტს დაიწყო, ხოლო 2021 წლის 15 ნოემბრისთვის საკრებულოში წარადგინა.

საბიუჯეტო ციკლი შემდეგ ეტაპებს მოიცავს:



ბიუჯეტზე პასუხისმგებლობა თვითმმართველობის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებს შორის შემდეგი სახით არის გადანაწილებული.



ქვემოთ კი მოცემულ გრაფიკში კი წარმოდგენილია საბიუჯეტო ციკლის ეტაპების თანმიმდევრობა.

ბიუჯეტირების პროცესი 3 ძირითად ეტაპს მოიცავს და სამივე ფაზაში თქვენი, როგორც მოქალაქის ჩართულობა უმნიშვნელოვანესია. ამ პროცესში კი სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით შეგიძლიათ ჩაერთოთ. კერძოდ,




ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო კალენდარი

	პერიოდი	საბიუჯეტო აქტივობა
ბიუჯეტის მომზადება	1 მარტს	პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობის დაწყება
	მარტი	მუნიციპალური სამსახურების კოორდინაციის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა
	15 ივლისი	დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების მიწოდება ფინანსთა სამინისტროს მიერ
	15 ივლისიდან	საფინანსო ორგანო გაიანგარიშებს შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს და იწყებს შესაბამის პროცედურებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად
	15 აგვისტომდე	სამუშაო ჯგუფი ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს, რომელსაც იწონებს მუნიციპალიტეტის მერი
	არაუგვიანეს 15 სექტემბრისა	მუნიციპალური სამსახურები ამზადებელ მომავალი წლისთვის მათი სამსახურის აქტივობების შესაბამისად ბიუჯეტს და განსახილველად წარადგენენ საფინანსო სამსახურში
	არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა	მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს განსახილველად წარუდგენს მერის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფს
	არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს და გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს

ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება	არაუგვიანეს 15 ნოემბრისა	მერი საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის პროექტს და პრიორიტეტების დოკუმენტს
	20 ნოემბრითვის	ბიუჯეტის პროექტის საკრებულოში შეტანიდან 5 დღეში ბიუჯეტის პროექტის ქვეყნდება საჯარო განხილვისთვის
	არაუგვიანეს 25 ნოემბრისა	შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მერს
	არაუგვიანეს 10 დეკემბრისა	მერი ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტებს წარუდგენს წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულო)
	31 დეკემბრამდე	ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო საჯაროდ იხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების თაობაზე. გადაწყვეტილება ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ მიიღება წარმომადგენლობითი ორგანოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით
ბიუჯეტის შესრულება / ანგარიშგება	ყოველ თვის 10 რიცხვისთვის (თებერვალი, მარტი, აპრილი ...)	საფინანსო სამსახური ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს 2022 წლის ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით
	30 აპრილი; 31 ივლისი, 31 ოქტომბერი	საფინანსო სამსახური ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში ამზადებს 2022 წლის ანგარიშს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ჩვენებით
	28 მარტი	საფინანსო სამსახური საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 2 თვისა ამზადებს წლის ბიუჯეტების შესრულების წლიურ ანგარიშებს და წარუდგენს საკრებულოს
	1 მაისი	საკრებულო არა უგვიანეს 1 მაისისა საჯაროდ იხილავს ბიუჯეტების შესრულების წლიურ ანგარიშს და იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშების დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ

თვითმმართველი ერთეულის ძირითადი ფინანსური დოკუმენტები

მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტებია:



ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი

არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ; დოკუმენტი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას როგორც გასულ პერიოდზე, ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებსა და პროგრამებზე.

8 **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი** წარმოადგენს მისაღები შემოსულობების (სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა), გასაწევი გადასახდელებისა (გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა) და ნაშთის ცვლილების (წინა წლის დარჩენილი თანხა, რომელიც ვერ დაიხარჯა და მისი გამოყენება ან დაგროვება მოხდება) ერთობლიობას.

მერმა საკრებულოს 15 ნოემბერს მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტთან და 2022 წლის ბიუჯეტთან ერთად შემდეგი დოკუმენტები წარუდგინა:

- ◆ ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი;
- ◆ მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის დანართი, სადაც მოცემულია თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის აღწერა, მათი მოსალოდნელი შედეგი და შედეგების შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებელი, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები);
- ◆ კაპიტალური პროექტების დანართი
- ◆ ა(ა)იპ-ების დანართი

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის სტრუქტურა

პრიორიტეტების დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას გასულ პერიოდზე (2020 და 2021 წლები), ასევე მომდევნო 4 წლის განმავლობაში (დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წელი - 2022-2025 წლები) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ ძირითად პრიორიტეტებისა და პროგრამებზე. პრიორიტეტის დოკუმენტი სამი თავისგან შედგება.



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრულია 7 პრიორიტეტული მიმართულება.

	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება	01 00
	ინფრასტრუქტურის განვითარება	02 00
	დასუფთავება და გარემოს დაცვა	03 00
	განათლება	04 00
	კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი	05 00
	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	06 00
	ეკონომიკური განვითარება	07 00


პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით 2022-2025 წლებში პრიორიტეტულ მიმართულებებზე გათვალისწინებულია შემდეგი თანხები:

ათასი ლარი

კოდი	პრიორიტეტის დასახელება	მომუშავეთა რიცხოვნობა	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება	334	6 194,0	5 980,0	6 165,0	6 355,0
02 00	ინფრასტრუქტურა	89	6 260,0	6 755,0	6 960,0	7 176,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	306	2 900,0	2 990,0	3 080,0	3 177,0
04 00	განათლება	882	5 320,0	5 052,0	5 208,0	5 370,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	749	5 000,0	5 100,0	5 250,0	5 400,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	20	1 860,0	1 876,0	1 935,0	1 994,0
07 00	ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება	12	280,0	289,0	297,0	307,0
სულ ჯამი		2 392	27 814,0	28 042,0	28 895,0	29 779,0

თბილისის მუნიციპალიტეტი

ქვემოთ მოცემულია 2022 წელს პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ფინანსების გადანაწილების მაჩვენებელი.



პრიორიტეტი - ინფრასტრუქტურის განვითარება 02 00

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	20 838,6	17 767,0	5 960,0	6 755,0	6 960,0	7 176,0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	14 062,6	11 120,4	1 860,0	1 500,0	1 540,0	1 576,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	600	700	950,0	955	950	950,0
02 03	საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება	537,7	200	300,0	300,0	300,0	300,0
02 04	პროექტირება და ექსპერტიზა	234,6	600	820,0	850	920	950
02 05	სამოქალაქო ბიუჯეტი	70,3	300	300,0	350	400	400,0
02 06	ბინათმშენებლობა	295,7	178	300,0	300,0	350	350
02 07	გარე განათება და ელემენტარაგება	700,2	752	1330	1350	1350	1450
02 08	მუნიციპალური ტრანსპორტი	86	90	100	150	150	200
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2176,8	2174,9		1000	1000	1000
02 10	სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია	2074,7	1651,7				

პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 0201)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	14 062,6	11 120,4	1 860,0	1 500,0	1 540,0	1 576,0
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა (020101)	76,2	210	300,0	300	300	300
02 01 02	გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია (020102)	13986,4	10910,7	1 000,0	1000	1040	1076
02 01 03	საგზაო მოძრაობის ორგანიზება (020103)			460,0	100	100	100
02 01 04	საგზაო ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია (020104)			100,0	100	100	100

პროგრამა: წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 0202)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 02	წყლის სისტემების განვითარება	600	700	950,0	955	950	950,0
02 02 01	წყალსადენის შიდა ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია (02 02 01)			100,0	150	200	250,0
02 02 02	წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლუატაცია (02 02 02)	600	700	800,0	755	700	650,0
02 02 03	კანალიზაციის ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია (02 02 03)			50,0	50	50	50,0

პროგრამა: საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება
(პროგრამის კოდი 0203)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 03	საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება	537,7	200	300,0	300,0	300,0	300,0
02 03 01	სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია (020301)	537,7	200	200,0	200,0	200,0	200,0
02 03 02	საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია (020302)			100,0	100,0	100,0	100,0

პროგრამა: პროექტირება და ექსპერტიზა (პროგრამის კოდი 0204)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 04	პროექტირება და ექსპერტიზა	234,6	600	820,0	850	920	950
02 04 01	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (020401)	234,6	300	350,0	380	400	430
02 04 02	შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა (020402)		300	450,0	450	500	500
02 04 03	კომუნალურ ქსელებზე დაერთების უზრუნველყოფა (020403)			20,0	20	20	20

პროგრამა: ბინათმშენებლობა (პროგრამული კოდი 0206)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 06	ბინათმშენებლობა	295,7	178	300,0	300,0	350	350
02 06 01	მრავალბინიანი საცხოვრებელი ეზოების კეთილმოწყობა (020601)	295,7	178	200,0	200,0	250	250
02 06 02	ბინათმშენებლურეთა ამხანაგობების მხარდაჭერა (020602)			100,0	100,0	100	100

პროგრამა: გარე განათება (პროგრამული კოდი 0207)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
02 07	გარე განათება და ელემენტარაგება	700,2	752	1330	1350	1350	1450
02 07 01	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია (020701)			80	100	100	150
02 07 02	გარე განათების ელექტროენერჯის ხარჯი (020702)	700,2	752	900	900	900	950
02 07 03	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (020703)			350	350	350	350

პრიორიტეტი - დასუფთავება და გარემოს დაცვა 03 00

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 845,2	2 900,0	2 900,0	2 990,0	3 080,0	3 177,0
03 01	მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დასუფთავება	2 845,2	2 900,0	2420	2 490,0	2 570,0	2637
03 02	რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა და განვითარება			180	180	190,0	200
03 03	მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა			300	320	320	340

პროგრამა: მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დასუფთავება (პროგრამული კოდი 0301)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
03 01	მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დასუფთავება	2 845,2	2 900,0	2420	2 490,0	2 570,0	2637
03 01 01	ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები (030101)			490	520	560	600
03 01 02	ნარჩენების გატანა (030102)	1272,5	1400	630	650	680	700
03 01 03	ა.(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფა (030103)	1572,7	1500	1300	1320	1330	1337

პროგრამა: რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა და განვითარება
(პროგრამული კოდი 0302)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
03 02	რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა და განვითარება	180	180	190,0	200
03 02 01	სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა (030201)	170	170	180	190
03 02 02	მრავალწლიანი ნარგავების შექმნა (030202)	10	10	10	10

პროგრამა: მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა
(პროგრამული კოდი 0303)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
03 03	მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა	300	320	320	340
03 03 01	ჩამდინარე წყლების მართვა (030301)	120	120	120	130
03 03 02	მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა (030302)	90	110	110	120
03 03 03	მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (030303)	90	90	90	90

პრიორიტეტი - განათლება 04 00

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
04 00	განათლება	5 337,7	5 738,2	5 620,0	5 052,0	5 208,0	5 370,0
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	4 029,6	4 500,0	5 470,0	4 900,0	5 040,0	5 200,0
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	1 308,1	1 238,2	150,0	152,0	168,0	170,0

პროგრამა: სკოლამდელი განათლების დაფინანსება
(პროგრამული კოდი 0401)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	4 029,6	4 500,0	5 470,0	4 900,0	5 040,0	5 200,0
04 01 01	ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრი (040101)	4029,6	4500	5 470,0	4900	5040	5 200,0
04 01 02	სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის განვითარება (040102)						
04 01 03	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგთა დაჯილდოება (040103)						

17

პროგრამა: ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 0402)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	1 308,1	1 238,2	150,0	152,0	168,0	170,0
04 02 01	საჯარო და სამრევლო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოები (040201)	1209,6	580,1	25,0	27,0	33	35,0
04 02 02	100%-იანი გრანტის მფლობელების მოსწავლეების წახალისება (040202)	65	65	65,0	65,0	70	70,0
04 02 03	არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (040203)	33,5	593,1	60	60	65	65

პრიორიტეტი - კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 05 00

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	4 194,8	4 766,0	5 000,0	5 100,0	5 250,0	5 400,0
05 01	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1 764,7	1 940,0	2 070,0	2 020,0	2 105,0	2 205,0
05 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	2 326,4	2 656,0	2 760,0	2 910,0	2 965,0	2 995,0
05 03	ახალგაზრდული პროგრამები	1,2	70,0	70,0	70,0	80,0	100,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100,0	100,0	100,0	100,0	100,0	100,0

პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 0501)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 764,7	1 940,0	2 070,0	2 020,0	2 105,0	2 205,0
05 01 01	მასობრივი სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა (05 01 01)	7,74	38,6	50,0	50,0	50	50,0
05 01 02	სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა (05 01 02)	1187,96	1260	1 350,0	1 300,0	1355	1 435,0
05 01 03	სპორტული კლუბების ხელშეწყობა (05 01 03)	569	641,4	670,0	670,0	700	720,0
05 01 03 01	ა(ა)იპ რაგბის განვითარების კავშირი (05 01 03 01)	329,3	350	370,0	370,0	390	400,0
05 01 03 02	შ.პ.ს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი მერცხალი	239,7	291,4	300,0	300,0	310	320,0

პროგრამა: კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 0502)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2 326,4	2 656,0	2 760,0	2 910,0	2 965,0	2 995,0
05 02 01	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	116,5	121,4	84,0	85	85	85
05 02 02	კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა:			70,0	85	85	85
05 02 03	კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა			30,0	30	30	30
05 02 04	კულტურის ობიექტების დაფინანსება	2 209,9	2 534,6	2 576,0	2 710,0	2 765,0	2 795,0

ქვეპროგრამა: კულტურის ობიექტების დაფინანსება
(პროგრამული კოდი 05 02 04)

ათასი ლარი

ოჯორგათის მუნიციპალიტეტი

20

პროგრამული კოდი	პროგრამა/ ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
05 02 04	კულტურის ობიექტების დაფინანსება	2 209,9	2 534,6	2 576,0	2 710,0	2 765,0	2 795,0
05 02 04 01	დაბა ურეკის კულტურის სახლი	172,0	172,0	172,0	180,0	180,0	190,0
05 02 04 02	ცენტრალური ბიბლიოთეკა	191,7	200,0	200,0	210,0	210,0	210,0
05 02 04 03	თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი	110,0	110,0	110,0	120,0	130,0	135,0
05 02 04 04	სახვითი ხელოვნების ცენტრი	124,4	135,0	135,0	140,0	140,0	140,0
05 02 04 05	სახელმწიფო ანსამბლი გურია	183,5	214,6	206,0	215,0	215,0	220,0
05 02 04 06	სამხატვრო სკოლა	87,0	88,0	88,0	90,0	100,0	100,0
05 02 04 06	მუსიკალური სკოლა	160,0	160,0	160,0	160,0	170,0	170,0
05 02 04 07	სამუზეუმო გაერთიანება	181,5	240,0	240,0	280,0	280,0	290,0
05 02 04 08	მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი	884,8	1 100,0	1 150,0	1 200,0	1 220,0	1 220,0
05 02 04 09	ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი	115,0	115,0	115,0	115,0	120,0	120,0

პრიორიტეტი - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 06 00

ათასი ლარი

პროგრამა- კოდი	პროგრამა/ ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგ- ნოზი	2024 წლის პროგ- ნოზი	2025 წლის პროგ- ნოზი
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 620,4	1 812,0	1 860,0	1 876,0	1 935,0	1 994,0
06 01	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	756,1	859,9	876	890	913	940,0
06 02	სოციალური პროგრამები	864,3	952,1	984	986	1022	1054

პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა (პროგრამული კოდი 0601)

ათასი ლარი

პროგრამა- მული კოდი	პროგრამა/ ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგ- ნოზი	2024 წლის პროგ- ნოზი	2025 წლის პროგ- ნოზი
06 01	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	756,1	859,9	876	890	913	940,0
06 01 01	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	222,5	173	173	180	180	190,0
06 01 02	მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება (060102)	201,6	230	246	250	250	260,0
06 01 03	თირკმლის უკმარიობით დაავადებულ პირთა დახმარება (060103)	32	55	55	55	60	60,0
06 01 04	ლექიკებით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება (060104)	210,9	260	260	260	277	280,0
06 01 05	გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება (060105)	56,8	90	90	90	90	90,0
06 01 06	ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება (060106)	32,3	51,9	52	55	56	60,0

პროგრამა: სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 0602)

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
06 02	სოციალური პროგრამები	864,3	952,1	984	986	1022	1054
06 02 01	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (060201)	39,2	60	60	66	70	70
06 02 02	დღის ცენტრის დაფინანსება (060202)	45	45	45	45	45	45
06 02 03	დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება (060203)	15,5	15	15	20	20	20
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (060204)	143,2	215	215	215	225	230
06 02 05	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება (060205)	12,9	14	14	14	14	14
06 02 06	სარიტუალო დახმარება (060206)	7,5	65	65	65	65	65
06 02 07	სოციალური ღონისძიებები (060207)	23,9	20	20	20	20	20
06 02 08	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება (060208)	363,6	270	270	270	280	290
06 02 09	მზრუნველობა- მოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა (060209)	156,8	163,1	165	170	175	185
06 02 10	ხანდაზმულთა სახლისათვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა (060210)	14,9	15	15	15	18	20
06 02 11	სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება (060211)	41,8	70	70	70	70	70

06 02 12	გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობა			10	16	20	25
06 02 13	სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსება			20			

პრიორიტეტი - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა 07 00

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
07 00	ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა	177,3	230,0	280,0	289,0	297,0	307,0
07 01	ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება	177,3	230	280,0	289,0	297,0	307,0
07 01 01	მუნიციპალური ქონების მართვა და განკარგვა (070101)			20,0	20,0	22,0	22,0
07 01 02	ოზურგეთის მუნიციპალტეტის ა(ა)იპ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის ფუნქციონირება (მონაცემთა ბაზის შექმნა) (070102)	130,4	150	150,0	150,0	150,0	150,0
07 01 03	მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა (070103)			20,0	29,0	35,0	45,0
07 01 04	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (070104)	10,9	30	40,0	40,0	40,0	40,0
07 01 05	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა (070105)	36	50	50,0	50,0	50,0	50,0

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება 01 00

2022 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისთვის გათვალისწინებულია 6194,0 ათასი ლარი, რაც მერიისა და საკრებულოს ხარჯებს წარმოადგენს, ასევე აქ შედის ვალის მომსახურება, სარეზერვო ფონდი.

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	პროგრამა/ ქვეპროგრამა	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის პროექტი	2023 წლის პროგნოზი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	5 197,0	5 283,7	6 194,0	5 980,0	6 165,0	6 355,0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 676,1	4 733,0	5 604,0	5 420,0	5 595,0	5 780,0
01 01 01	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო (010101)	1079	1150	1 376,6	1360	1400	1 500,0
01 01 02	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია (020102)	3465,4	3440	4 072,4	3900	4030	4 100,0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის და განვების სამსახური (020103)	131,7	143	155,0	160	165	180,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	520,9	550,7	590,0	560,0	570,0	575,0
01 02 01	სარეზერვო ფონდი (010201)	332	350	350,0	350	350	350,0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა (010202)			30,0			
01 02 03	მგფ-ის და სხვა დავალიანებების დაფარვა (010203)	188,9	200,7	210,0	210	220	225,0

ბიუჯეტის სტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფინანსური მონაცემები წარმოდგენილია გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის. მაგალითად, 2022 წელის ბიუჯეტში არის ინფორმაცია 2020 და 2021 წლების ფინანსური მაჩვენებლების შესახებ.

თანხა ათას ლარში

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემდეგი თავებისგან შედგება:



პირველი თავი შედგება შემდეგი მუხლებისგან:

მუხლი 1: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი; ამ მუხლში მოცემულია მთელი ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია:

- ◆ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის რა სხვაობაა (საოპერაციო სალდო);
- ◆ არაფინანსური აქტივების ცვლილება რამდენია (მუნიციპალური ქონების შექმნისთვის დახარჯულ თანხასა და ქონების გაყიდვის შედეგად მიღებულ თანხას შორის სხვაობა);
- ◆ მთლიანი სალდოს მოცულობა, ანუ ბიუჯეტი პროფიციტულია თუ დეფიციტური. ეს კი იანგარიშება საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება;
- ◆ შემდეგ გამოითვლება ბიუჯეტის ბალანსი - გაანგარიშებისას მთლიანი სალდოს მაჩვენებელს აკლდება ფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი და ემატება ვალდებულებების ცვლილების (მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ახალი ვალის მოცულობას გამოკლებული ძველი ვალის დასაფარად გათვალისწინებული ძირითადი თანხა) მაჩვენებელი.

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება;

ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია თუ რამდენი იქნება ბიუჯეტის:

- ◆ შემოსულობები: შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) და ვალდებულების ზრდა;
- ◆ გადასახდელები: ხარჯები, არაფინანსური აქტივების ზრდა, ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) და ვალდებულების კლება;
- ◆ ნაშთის ცვლილება: ნაშთი არის ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი, ხოლო ნაშთის ცვლილება არის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების გამოყენება ან დაგროვება;

მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები; ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობის შესახებ:

- ◆ გადასახადები;
- ◆ გრანტები
- ◆ სხვა შემოსავლები;

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები; ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია თუ რამდენი თანხა შემოვალ ბიუჯეტში შემდეგი გადასახადებიდან:

- ◆ ქონების გადასახადი;
- ◆ დღგ;

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები; ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია თუ რამდენი თანხა შემოვალ ბიუჯეტში გრანტებიდან:

- ◆ დონორებისგან მიღებული თანხები;
- ◆ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები: მიზნობრივი, კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები; ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია თუ რამდენი თანხა შემოვალ ბიუჯეტში სხვა შემოსავლებიდან, როგორც არის:

- ◆ პროცენტი; რენტა;
- ◆ მოსაკრებლები;
- ◆ ჯარიმები, საურავები და სხვა

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები; ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია თუ რა თანხა გათვალისწინებული ყოველწლიურად გასაწევი ხარჯებისთვის, როგორც არის:

- ◆ შრომის ანაზღაურება (მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ხელფასები);
- ◆ საქონელი და მომსახურება (საოფისე მასალების, ინვენტარის და სხვა საქონელის შეძენა);
- ◆ სუბსიდია (მუნიციპალური ა(ა)იპ-ების დაფინანსება);
- ◆ პროცენტი (აღებული სესხის პროცენტის დაბრუნება);
- ◆ გრანტი (სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების დაფინანსება);
- ◆ სოციალური უზრუნველყოფა;
- ◆ სხვა ხარჯი (სარეზერვო ფონდი, საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა);

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება; ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ზრდისა და კლების შესახებ.

- ◆ არაფინანსური აქტივების ზრდა - ქონების შეძენა, რეაბილიტაცია; კაპიტალური პროექტების განხორციელება;

- ◆ არაფინანსური აქტივების კლება - მუნიციპალიტეტის მიერ ქონების (შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, ინვენტარი, მინა) გაყიდვიდან მიღებული ფულად სახსრები.

მუხლი 9. ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია; ამ მუხლში მოცემულია ინფორმაცია ბიუჯეტიდან ხარჯებსა და არაფინანსური აქტივების ზრდაზე ერთად რამდენი იხარჯება ფუნქციონალურ ქრილში: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება (701); თავდაცვა (702); ეკონომიკური საქმიანობა (704); გარემოს დაცვა (705); საბინაო-კომუნალური მეურნეობა (706); ჯანდაცვა (707); დასვენება და კულტურა (708); განათლება (709); სოციალური დაცვა (710).

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო; ამ მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდოს მოცულობის შესახებ.


მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება; ამ მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია თუ რა თანხა დაიხარჯება ბიუჯეტიდან ფინანსური აქტივების ზრდაზე და რა თანხა შემოვა ბიუჯეტში ფინანსური აქტივების კლებიდან:

- ◆ მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივი იზრდება როდესაც მუნიციპალიტეტი სესხს გასცემს, ან შპს-ს აფინანსებს, ან დეპოზიტზე დებს თანხას;
- ◆ ფულადსახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ მის საკუთრებაში არსებული ფინანსური რესურსების (ვალუტა და დეპოზიტები, მუნიციპალიტეტის მიერ გასესხებული თანხა, აქციები და სხვა კაპიტალი) გამოყენებიდან მიიღება, არის შემოსულობა ფინანსური აქტივის კლებიდან;

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება; ამ მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია რამდენ ვალს იღებს მუნიციპალიტეტი და ძველი ვალიდან რა თანხას ფარავს.

- ◆ ვალდებულებების ზრდა - არის ფულადი სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტს ვალის (საგარეო და საშინაო) აღების შედეგად აქვს. მუნიციპალიტეტს სესხის აღება მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით შეუძლია;
- ◆ ვალდებულებების კლება - მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ძირითადი თანხის დაფარვა.

ბიუჯეტის მეორე თავში მოცემულია პროგრამებსა და ქვეპროგრამების აღწერა და მიზნები, ხოლო მოსალოდნელი საბოლოო/შუალედური შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები (საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები, ცდომილების ალბათობა და შესაძლო რისკები) კი მოცემულია პროგრამული ბიუჯეტის დანართში, რომელიც თან უნდა ახლდეს ბიუჯეტის პროექტს, თუმცა არ მტკიცდება საკრებულოს მიერ.



მუნიციპალიტეტების პრიორიტეტული მიმართულებები:

- ◆ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 0100);
 - ◆ ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 0200);
 - ◆ გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00);
 - ◆ განათლება (პროგრამული კოდი 04 00);
 - ◆ სპორტი, კულტურა, ახალგაზრდობა, რელიგია (პროგრამული კოდი 05 00);
 - ◆ ჯანმრთელობის დაცვა და სოცუბრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00);
 - ◆ ეკონომიკური განვითარება (07 00); მუნიციპალიტეტის უფლებათა ცალკე ექნება თუ არა ეს პრიორიტეტი გამოკვეთილი.
- ◆ **ბიუჯეტის მესამე თავში** კი წარმოდგენილია ინფორმაცია პრიორიტეტების, პროგრამებისა და ქვეპროგრამებისათვის გამოყოფილი **ასიგნებების შესახებ**. ეს ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლების მიხედვით.
- ◆ **ბიუჯეტის მეოთხე თავში** კი წარმოდგენილია ინფორმაცია მარეგულირებელი ნორმების შესახებ. კერძოდ, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის შესახებ. 2022 წელს ფონდის მოცულობა 350,0 ათასი ლარია. ასევე მოცემულია ინფორმაცია მიზნობრივი ტრანსფერის შესახებ და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მომზადებულია პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №385-ის (2011 წლის 8 ივლისი ქ. თბილისი) მიხედვით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2022 წლისთვის

შემოსულობები

ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულებს გააჩნიათ როგორც საკუთარი ფულადი სახსრები - საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლები, სახელმწიფო (ან ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან) ბიუჯეტიდან ან სხვა დონორებისგან მიღებული ფინანსური რესურსები, ასევე შეუძლია ვალის აღება - ყველაფერი ეს **ბიუჯეტის შემოსულობებს** წარმოადგენს.



ბიუჯეტის შემოსულობები არის ბიუჯეტში შემოსული ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელსაც მუნიციპალიტეტი იღებს ზემოთ მოცემული 4 ძირითადი წყაროდან.

- ◆ შემოსავლები: გადასახადები (ქონების გადასახადი და დღგ-დან წილი), გრანტები და სხვა შემოსავლები (ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული სამივე სახის შემოსავალი);
- ◆ არაფინანსური აქტივების კლება - არის მუნიციპალიტეტის მიერ გასაყიდად გატანილი ქონებიდან მიღებულ ფულად სახსრები.

მუნიციპალიტეტს შემდეგი სახის არაფინანსური აქტივები აქვს:

- ✓ ძირითადი აქტივები (შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი და სხვა)
- ✓ არანარმოებული აქტივები (მინა)

როდესაც მუნიციპალიტეტი შენობა-ნაგებობას ან მინას ყიდის, მას ქონება აკლდება, თუმცა ბიუჯეტში ფული შემოსდის, ამიტომ ქონების გაყიდვიდან მიღებულ თანხებს არაფინანსური აქტივების კლება ჰქვია.

- ◆ **ფინანსური აქტივების კლება** - არის ფულად სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტის მიერ მის საკუთრებაში არსებული ფინანსური რესურსების გამოყენებიდან მიიღება.

კერძოდ, ფინანსური აქტივებია:

- ✓ ვალუტა და დეპოზიტები
- ✓ სესხები (მუნიციპალიტეტის მიერ გასესხებული თანხა)
- ✓ აქციები და სხვა კაპიტალი


მაგალითად, როდესაც მუნიციპალიტეტს სხვაზე გასესხებული თანხა უკან უბრუნდება, ან წინა წელს დარჩენილი ნაშთის გამოყენებას გეგმას, ამ დროს ფინანსური აქტივი აკლდება, თუმცა ბიუჯეტში ფული შემოდის.

- ◆ **ვალდებულებების ზრდა** - არის ფულადი სახსრები, რომელიც მუნიციპალიტეტს ვალის აღების შედეგად აქვს.

კერძოდ, ვალდებულებებია:


- საგარეო ვალი
- საშინაო ვალი

თბილისის მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 2022 წლისთვის 27 814,0 ათასი ლარია, აქედან შემოსავლები 27414,0 ათასი ლარია, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 400 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი 2022 წლის განმავლობაში გაიზრდება, რადგან 2021 წელს დარჩენილი ნაშთისა და ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების ასახვა მოხდება ბიუჯეტში, ასევე შეიძლება გაიზარდოს სხვა შემოსავლები. დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებულ ცვლილებებს კორექტირებული, ანუ დაზუსტებული ბიუჯეტი ეწოდება.




შემოსავლები

მუნიციპალიტეტის შემოსულობების მთავარი წყარო შემოსავლებია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახადებიდან 24 503 200 ლარის შემოსვლა იგეგმება (მთელი შემოსავლების 89%). წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან (2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით) შედარებით გადასახადებიდან შემოსავალი გაზრდილია 2 684 600 ლარით (2021 წელს დაგეგმილი იყო 21 818 600 ლარი);




2022 წლს გრანტებიდან - 280 000 ლარის, ხოლო სხვა შემოსავლებიდან 2 630 800 ლარის (მთელი შემოსავლების 62%) მიღება იგეგმება.



გადასახადები

გადასახადები შედგება:

- ◆ **ადგილობრივი გადასახადიდან**, როგორც არის ქონების გადასახადი. 2022 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ქონების გადასახადიდან 6 100 000 ლარის მობილიზებაა დაგეგმილი. ამ თანხას იხდიან როგორც იურიდიული და ისე ფიზიკური პირები.



- ◆ **დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ)** – 2022 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დღგ-დან 18 403 200 ლარი შემოვა.

2019 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შესული დღგ-დან 19 პროცენტი ნაწილდება მუნიციპალიტეტებს შორის. გადანაწილება შემდეგი წესის მიხედვით ხდება:

- ◆ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობის - 60%;
- ◆ 6 წლამდე ბავშვთა რაოდენობის - 15%;
- ◆ 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობის - 10%;
- ◆ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირთა რაოდენობის მიხედვით - 10%;
- ◆ მუნიციპალიტეტის ფართობის - 5%;

ამ სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე განისაზღვრება თანხის მოცულობა მუნიციპალიტეტებისთვის. მუნიციპალიტეტებისთვის განკუთვნილი დღგ-ს წილიდან 1,45%-ს, ანუ 18403 200 ლარს იღებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტი.

გრანტები

ბიუჯეტის მე-5 მუხლში მოცემულია ინფორმაცია გრანტების (ტრანსფერების) შესახებ. მუნიციპალიტეტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ ტრანსფერებს. სულ მუნიციპალიტეტი 3 სახის ტრანსფერს იღებს:

- ◆ **მიზნობრივი ტრანსფერი** - დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრები;
- ◆ **კაპიტალური ტრანსფერი** - გამოიყოფა კაპიტალური პროექტის განსახორციელებლად. კაპიტალური ტრანსფერი არის სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის გაწეული ფინანსური დახმარება, რომელიც დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან;
- ◆ **სპეციალური ტრანსფერი** - სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიების და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ბიუჯეტის პროექტის მიხედვით 2022 წელს მიზნობრივი ტრანსფერს იღებს, რომლის მოცულობაც 280 000 ლარია. აღნიშნული ტრანსფერი გამოიყოფა შემდეგი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად:

- ◆ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 107,0 ათასი ლარი;
- ◆ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 143,0 ათასი ლარი.

2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასევე გამოიყოფა კაპიტალური ტრანსფერი რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის განმავლობაში აისახება.


სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის მე-6 მუხლში მოცემულია ინფორმაცია სხვა შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრების შესახებ.

!!! რას მოიცავს სხვა შემოსავლები:

- ◆ **შემოსავლები საკუთრებიდან:** პროცენტი (კომერციულ ბანკში არსებული დეპოზიტიდან მიღებული პროცენტი, გასესხებული თანხიდან მიღებული პროცენტი); რენტა (მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის და შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში გადაცემიდან);
- ◆ **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია:** ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები (მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე; სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და სხვ.); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (შემოსავლები მომსახურების განვიდან);
- ◆ **ჯარიმები, სანქციები და საურავები:** მათ შორის პატრულის მიერ დაწერილი ჯარიმები;
- ◆ **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** - ისეთი სახის შემოსავლები, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებში არ შედის;

2022 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვა შემოსავლები 2 630 800 ლარს შეადგენს. აქედან შემოსავლები საკუთრებიდან 500 ათასი ლარია, რაც მთლიანად რენტაა, მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 400 ათასი ლარი, ხოლო შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში გადაცემიდან 100 ათასი ლარი.



საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის კატეგორიიდან 420 000 ლარის მობილიზებაა დაგეგმილი; აქედან სანებართვო მოსაკრებელიდან 150 000 ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელიდან კი - 250 000 ლარის. ასევე არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან დაგეგმილია 20 000 ლარის მიღება.

მუნიციპალიტეტის გადასახდელები

ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა **ბიუჯეტის გადასახდელებს** წარმოადგენს.




!!! რას გულისხმობს ეს ტერმინები:

- ◆ **ხარჯები:** ყოველწლიურად გასაწევი ხარჯები: მუნიციპალიტეტის თანამშრომელთა ხელფასები, საოფისე მასალებისა და ინვენტარის შეძენა, ა(ა)იპ-ების დაფინანსება, აღებული სესხის პროცენტის დაბრუნება, სოციალური უზრუნველყოფა;
- ◆ **არაფინანსური აქტივების ზრდა** - ქონების შეძენა, რეაბილიტაცია; კაპიტალური პროექტების განხორციელება;

როდესაც მუნიციპალიტეტი რაიმე სახის ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს, ან 500 ლარზე მეტი ღირებულების ტექნიკას ყიდულობს, არაფინანსური აქტივები ეზრდება.

- ◆ **ფინანსური აქტივების ზრდა** - როდესაც მუნიციპალიტეტი სესხს გაცემს, ან შპს-ს აფინანსებს, ან დეპოზიტზე დებს თანხას. ამ ოპერაციების შედეგად მუნიციპალიტეტის ფინანსური აქტივები იზრდება;
- ◆ **ვალდებულებების კლება** - მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ძირითადი თანხის დაფარვა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლით გადასახდელები 27 814 ათასი ლარია, აქედან 87% ხარჯებია, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა კი - 13%, ასევე 114 900 ლარი კი წინა წლებში აღებული ვალის ძირითადი თანხის დაფარვას მოხმარდება. ქვემოთ მოცემულია გადასახდელების გრაფიკული სურათი.



ხარჯები


მუნიციპალიტეტის ხარჯები შემდეგ ძირითად კატეგორიებად იყოფა: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა ხარჯები.

„საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ ფინანსთა მინისტრის ბრძანებით #99 (05.04. 2019 წელი) განსაზღვრულია, თუ რას უნდა მოიცავდეს თავად ეს კატეგორიები:

- ◆ **შრომის ანაზღაურება:** მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა ხელფასები, პრემია-დანამატი, კომპენსაცია;
- ◆ **საქონელი და მომსახურება:** შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება; მივლინება; ოფისის ხარჯები, კომპიუტერული ტექნიკა - (კომპიუტერი, პრინტერი, სკანერი, უწყვეტი კვების წყარო, კომპიუტერული ტექნიკის აქსესუარები და სხვა); საოფისე ავეჯი; შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯები; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, (ექსპლუატაციისა) და მიმდინარე რემონტის ხარჯები; კავშირგაბმულობის ხარჯები; საფოსტო მომსახურების ხარჯები; კომუნალური ხარჯები; წარმომადგენლობითი ხარჯები (საქართველოს მოქალაქეებზე განეულ წარმომადგენლობით ხარჯებს, აგრეთვე, იმავე ღონისძიებების ფარგლებში უცხოელ სტუმრებზე განეული ხარჯები); ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვა; მიმდინარე რემონტი; შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯები; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები და სხვა.
- ◆ **პროცენტი:** მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის მომსახურების პროცენტი საგარეო და საშინაო ვალდებულებებზე;
- ◆ **სუბსიდიები:** სუბსიდიები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუნდებული ა(ა)იპ-ებისთვის მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს;
- ◆ **გრანტი:** გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს. მაგალითად, სახელმწიფო ა(ა)იპ-ებისთვის;
- ◆ **სოციალური უზრუნველყოფა:** სხვადასხვა სოციალური დახმარება;
- ◆ **სხვა ხარჯები:** სარეზერვო ფონდი, საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები და სხვა;

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯები შეადგენს 24 089 700 ლარს.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ სურათზე წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების კატეგორიების პროცენტული გადანაწილება.



ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა (ფუნქციონალური კლასიფიკაცია)


მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მე-9 მუხლში წარმოდგენილია ინფორმაცია დარგების მიხედვით (ფუნქციონალურ ქრილში) რა ხარჯები იქნება განუღი და რა თანხა დაიხარჯება არაფინანსური აქტივების ზრდისთვის.

შემდეგ სფეროებს მოიცავს:

- ◆ **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება:** (აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა; ვალთან დაკავშირებული ოპერაციები);
- ◆ **თავდაცვა:** წვევამდელთა განვების ორგანიზება დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში;
- ◆ **ეკონომიკური საქმიანობა:** საავტომობილო ტრანსპორტი და გზები;
- ◆ **გარემოს დაცვა:** ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება;
- ◆ **საბინაო-კომუნალური მეურნეობა:** წყალმომარაგება; გარე განათება; სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში;

- ◆ **ჯანმრთელობის დაცვა:** საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება;
- ◆ **დასვენება, კულტურა და რელიგია:** მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში; მომსახურება კულტურის სფეროში; რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა;
- ◆ **განათლება:** სკოლამდელი აღზრდა;
- ◆ **სოციალური დაცვა:** ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა; ხანდაზმულთა სოციალური დაცვა; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა; სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯები; დევნილი და უპატრონო მიცვალებულების სარიტუალო მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯები და სხვა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდისთვის 27 699 100 ლარია განსაზღვრული.



მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების შესახებ

მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურებისთვის 114,9 ათასი ლარია განსაზღვრული 2022 წლის ბიუჯეტში. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვა. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასახო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 517,2 ათას ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი იქნება 402,3 ათასი ლარი.

